

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“



დამტიცებულია
შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის
2014 წლის 27 ივნისის №08 ბრძანებით

გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

III საფეხური

საწარმოო და საცურაო პრაქტიკა

სილაბუსი

კოდი: ნდ №2-P. 0326-08

წარმოდგენილია პროფესიული განათლების
განყოფილების მიერ. სხდომის ოქმი №05, 10 ივნისი, 2014 წ.

ბათუმი 2014



სასწავლო კურსი/კომპონენტის დასახელება და კოდი	საწარმოო და საცურო პრაქტიკა ნდ №2-P. 0326-08
სწავლების საფეხური	III საფეხური
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
პასუხისმგებელი განყოფილება	პროფესიული განათლების განყოფილება
სასწავლო კურსის/კომპონენტის ხელმძღვანელი/პროფესორი სიულის განათლების მასწავლებელი	ამირან მგელაძე საკონტაქტო ინფორმაცია ტელ: 599 51 21 84 ელ-ფოსტა: a.mgeladze07@rambler.ru
დაშვების წინაპირობები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიის კომპონენტის სასწავლო კურსებში დადებითი შეფასება
პრაქტიკის კომპონენტის მიზანი	პრაქტიკის მიზანია განუვითაროს და შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს რეალურ გარემოში, რეალურ გემზე და ღია ზღვაში ნაოსნობისათვის აუცილებელი უნარები, როგორცაა გემზე ნაოსნობის უსაფრთხოების ძირითადი ელემენტები, გემის მოწყობილობათა ექსპლუატაციის წესები, გემის საჭის მართვა, სატაკელაჟო სამუშაოების შესრულება, მესაჭის ფუნქციები, უსაფრთხო ვახტის გაწევა, რეალურ გარემოში გაითავისონ პროფესიული საქმიანობის დამახასიათებელი თვისებურებები და ღირებულებები.
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> - გემბანის ტექნიკური საშუალებების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; - ამწე-სატვირთო მექანიზმების ექსპლუატაციის წესები; - გემის საჭის, სატვირთო, ღუზის, მისაბმელი და ბუქსირების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; - ძირითადი ნავიგაციური ხელსაწყოები და საშუალებები; - უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები გემბანზე სამუშაოდ; - საკუთარი მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები; - გემის განგაშის განრიგი, პირობები და სიგნალები; გემის შუქნიშნები და მარკირების სახეები გემბანზე; - მისაბმელი ბაგირების დასახელება და დანიშნულება - ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები; - უსაფრთხო ვახტის გაწევის წესები. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - გემის სანავიგაციო და სადგომი ვახტის წარმოება, ვიზუალური და



	<p>სმენითი დაკვირვების გაწევა ვახტაზე; ვახტის წარმოება და წესების დაცვა;</p> <ul style="list-style-type: none"> - გემის სატაკელაჟო, სადურგლო, სამღებრო სამუშაოების შესრულება; - კორპუსისა და ლითონის ნაკეთობათა გამწმენდი სამუშაოების შესრულება; - გემის საჭის მართვა და ბრძანებების შესრულება; - გემის მიზმის ოპერაციების შესრულება; - საჭის მოწყობილობისა და კურსის მაჩვენებლის კონტროლი. გიროკომპასისა და მაგნიტური კომპასის გამოყენება საჭის მართვის დროს ავტომატურიდან ხელით მართვაზე გადასვლის ბრძანების შემთხვევაში და პირიქით; - განახორციელოს საჭის, სატვირთო და ბუქსირების საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია; - განახორციელოს ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცედურები: მოამზადოს სათავსოები, სატვირთო ტრიუმები და გემბანი ტვირთის განსათავსებლად; - მიიღოს, ჩაიბაროს, განათავსოს და დაამაგროს ტვირთი. გაწმინდოს ტრიუმები დაასუფთაოს გემბანი გადმოტვირთვის ოპერაციის შემდეგ; - უზრუნველყოს ნაოსნობის უსაფრთხოება. უზრუნველყოს სატრანსპორტო უსაფრთხოების სათანადო დონე, გამოიყენოს ყველა საშუალება გემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ შორის: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჯო; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა. - იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად, შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა; - განგაშის სიგნალების გამოყენება გადარჩენისა და ძიების ოპერაციების დროს, მათ შორის: პიროტექნიკური საშუალებები, თანამგზავრული ავარიული რადიო ბუები და ტრანსპონდერები; - განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება. მოქმედებები მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში; - თავისი კომპეტენციების ფარგლებში იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე. <p>დასკვნის უნარი შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი; - საჭის მოწყობილობის, კურსის მაჩვენებლის კონტროლისა და ვიზუალური დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და კაპიტნის სავახტო თანაშემწის ინფორმირება. <p>კომუნიკაციის უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> - შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე; გემის შიდა კავშირისა და ავარიული სიგნალიზაციის ეფექტურად გამოყენება - აქვს გუნდური მუშაობისა და სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე კომპეტენციის შესაბამისი ადეკვატური ქმედებების განხორციელების უნარი - აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური
--	--



	<p>მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით.</p> <p>სწავლების უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> - კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას <p>ღირებულებები</p> <ul style="list-style-type: none"> - აცნობიერებს პროფესიის მაღალ რისკ-ფაქტორებიდან გამომდინარე გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობის, კომუნიკაბელურობისა და თვითდისციპლინის აუცილებლობას. 																				
<p>სასწავლო კურსის/ პრაქტიკის კომპონენტის მოცულობა, ხანგრძლივობა, სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>30 კრედიტი (780 საათი. 1 კრედიტი = 26 სთ)</p> <p>პრაქტიკის ხანგრძლივობა: 6 თვე</p> <p>STCW Convention, 1978, Manila Amendments. Regulation II/4 მოთხოვნის თანახმად მეზღვაურის პრაქტიკის კომპონენტის ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს (24 კვირა), პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა საშუალოდ მოიცავს 32,5 საათს.¹</p> <p>საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტი: საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი - საწარმოო და საცურაო პრაქტიკა - ხორციელდება „სსსც ეკვატორის“ პარტნიორი დაწესებულების შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრის“ საკუთრებაში არსებულ გემზე „კაპიტანი ო. ჩახვაძე“.</p> <table border="1" data-bbox="496 1155 1479 1608"> <tr> <td>საათების რაოდენობა</td> <td>სრული</td> <td>780 სთ.</td> </tr> <tr> <td rowspan="5">საკონტაქტო რაოდენობა</td> <td rowspan="5">საათების</td> <td>780 სთ.</td> </tr> <tr> <td colspan="2"><i>მათ შორის:</i></td> </tr> <tr> <td>I შუალედური გამოცდა</td> <td>2 სთ.</td> </tr> <tr> <td>II შუალედური გამოცდა</td> <td>2 სთ.</td> </tr> <tr> <td>დასკვნითი გამოცდა</td> <td>6 სთ.</td> </tr> <tr> <td colspan="2">სულ შეფასებისთვის დათმობილია</td> <td>10 სთ.</td> </tr> <tr> <td>დამოუკიდებელი მუშაობის საათები</td> <td></td> <td>0 სთ.</td> </tr> </table> <p>სწავლების მეთოდები</p> <p>პრაქტიკის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები უშუალოდ ასრულებენ საფეხურის ფარგლებში პროფესიული სტანდარტითა და საგანმანათლებლო პროგრამით მოთხოვნილი კომპეტეციების შესაბამის სამუშაოებსა და დავალებებს, რასაც წერილობით ასახავენ პრაქტიკის დღიურში (დანართი 1). პრაქტიკისას ძირითადად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ინსტრუქტაჟი, დემონსტრირება, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება,</p>	საათების რაოდენობა	სრული	780 სთ.	საკონტაქტო რაოდენობა	საათების	780 სთ.	<i>მათ შორის:</i>		I შუალედური გამოცდა	2 სთ.	II შუალედური გამოცდა	2 სთ.	დასკვნითი გამოცდა	6 სთ.	სულ შეფასებისთვის დათმობილია		10 სთ.	დამოუკიდებელი მუშაობის საათები		0 სთ.
საათების რაოდენობა	სრული	780 სთ.																			
საკონტაქტო რაოდენობა	საათების	780 სთ.																			
		<i>მათ შორის:</i>																			
		I შუალედური გამოცდა	2 სთ.																		
		II შუალედური გამოცდა	2 სთ.																		
		დასკვნითი გამოცდა	6 სთ.																		
სულ შეფასებისთვის დათმობილია		10 სთ.																			
დამოუკიდებელი მუშაობის საათები		0 სთ.																			

¹ მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის ხანგრძლივობა, კვირეული დატვირთვა შეთანხმებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან.



	<p>შემთხვევის ანალიზი და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები.</p> <p>პრაქტიკა მიმდინარეობს პრაქტიკის ხელმძღვანელისა და ინსტრუქტორის მეთვალყურეობით, ამ უკანასკნელს გამოჰყოფს პარტნიორი ორგანიზაცია. საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი სუბიექტი უზრუნველყოფს პრაქტიკის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი და პროფესიული სტანდარტით დადგენილი კომპეტენციების განვითარება-განმტკიცებისათვის აუცილებელ სამუშაოთა შესრულებას.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორ უარყოფით შეფასებას, ხოლო მაჩვენებლები ასეთია:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% დამეტი; • (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა პრაქტიკის ობიექტზე დამატებითი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. <p>პრაქტიკის კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p>



**შეფასების
კომპონენტები და
კრიტერიუმები**

პროფესიული სტუდენტის ცოდნა და უნარები ფასდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის სახით.

შუალედური შეფასება 40 ქულის ტოლია და მოიცავს შეფასების შემდეგ სახეებს:

- პასუხისმგებლობა – მაქსიმალური **5 ქულა**;
- თვითდისციპლინა/დისციპლინა – მაქსიმალური **5 ქულა**;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობა – მაქსიმალური **5 ქულა**;
- პრაქტიკის დღიურის წარმოება – მაქსიმალური **5 ქულა**;

შუალედური გამოცდა (პრაქტიკული უნარების დემონსტრირება – შეფასების მაქსიმალური 10 ქულა) - 2X10ქ. = 20 ქულა.

I შუალედური გამოცდა - გემზე ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა

შეუძლია სატვირთო ტრიუმებისა და გემბანის მომზადება ტვირთის განსათავსებლად	0-2
შეუძლია ტვირთის მიღება, განთავსება	0-2
შეუძლია ტვირთის ჩაბარება და დამაგრება, უსაფრთხოების წესების დაცვა.	0-2
შეუძლია ტრიუმებისა და გემბანის გაწმენდა-დასუფთავება გადმოტვირთვის ოპერაციის შემდეგ	0-2
შეუძლია ბრძანებების ეფექტურად და ხარისხიანად შესრულება	0-2
0-არადამაკმაყოფილებელი; 1-დამაკმაყოფილებელი, 2- კარგი	10 ქ.

II შუალედური გამოცდა - ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა
(ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო საშუალებებით სარგებლობა, პირველადი სამედიცინო დახმარება)

შეუძლია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით სარგებლობა	0-2
შეუძლია კოლექტიური სამაშველო საშუალებების ჩაშვება, ამოყვანა, მართვა	0-2
შეუძლია ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით სარგებლობა	0-2
იცის მოქმედებები სიტუაციში - „დამიანი ბორტს მიღმა“	0-2
შეუძლია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა	0-2
0-არადამაკმაყოფილებელი; 1-დამაკმაყოფილებელი, 2- კარგი	10 ქ.

თი გამოცდა/პრაქტიკული უნარების დემონსტრირება - 60 ქულა;

ცალკეული შეფასების კომპონენტების კრიტერიუმები ასეთია:

პრაქტიკის დღიურის წარმოების შეფასების კრიტერიუმები და ქულები:

- პროფესიული სტუდენტი სისტემატურად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, აღწერს ყოველკვირულ შესრულებულ სამუშაოს, აქვს კარგად განვითარებული წერითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით - იყენებს ნავიგაციის ტერმინებს, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით ავიქსირებს მიღწეულ შედეგებს - **5 ქულა**



	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის დღიურის წარმოება დამაკმაყოფილებელია, ინიშნავს მონაცემებს, არასრულად აღწერს ყოველკვირეულ შესრულებულ სამუშაოს, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით აფიქსირებს, მიღწეულ შედეგებს. შეუძლია წერითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით - 3-4 ქულა - პროფესიული სტუდენტი არასრულად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, მოცემული სწავლის შედეგები არასრულია, უჭირს კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით - 1-2 ქულა - პროფესიული სტუდენტი არ აწარმოებს პრაქტიკის დღიურს - 0 ქულა <p>პასუხისმგებლობის შეფასების კრიტერიუმები და ქულები:</p> <ul style="list-style-type: none"> - საქმეს ეკიდება პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით, დავალებების შესრულებისას კარგად აქვს გაცნობიერებული პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა - 5 ქულა - აქვს პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა - 3-4 ქულა - სუსტად აქვს გაცნობიერებული პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა - 1-2 ქულა - ვერ აცნობიერებს პირად და პროფესიულ პასუხისმგებლობას - 0 ქულა <p>თვითდისციპლინა/დისციპლინის შეფასების კრიტერიუმები და ქულები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ. კარგად აცნობიერებს ვალდებულებათა ხარისხიან და დროულ შესრულებას. ზედმიწევნით იცავს წესებსა და შინაგანაწესს, პუნქტუალურია, განუხრელად ასრულებს ინსტრუქტორის/ ხელმძღვანელის ბრძანებებს - 5 ქულა - აცნობიერებს ვალდებულებათა ხარისხიან და დროულ შესრულებას. იცავს წესებსა და შინაგანაწესს, ადეკვატურად ასრულებს ინსტრუქტორის/ ხელმძღვანელის ბრძანებებს - 3-4 ქულა - სუსტად აქვს გაცნობიერებული ვალდებულებები, ასრულებს უხარისხოდ და არადროულად. არ გამოიჩინებს პუნქტუალობითა, ინსტრუქტორის/ ხელმძღვანელის ბრძანებებს ასრულებს ხარვეზებით - 1-2 ქულა - ვერ აცნობიერებს ვალდებულებათა ხარისხიან და დროულ შესრულებას. არღვევს პრაქტიკის წესებსა და შინაგანაწესს, არ გამოიჩინებს პუნქტუალობით, არადეკვატურად ასრულებს ინსტრუქტორის/ ხელმძღვანელის ბრძანებებს - 0 ქულა <p>კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარის შეფასების კრიტერიუმები და ქულები:</p> <ul style="list-style-type: none"> - კარგად აქვს განვითარებული გუნდური მუშაობის უნარი, შეუძლია განახორციელოს ეფექტური სამუშაო ურთიერთობები ვახტის გაწევის დროს. შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია, აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა და ადეკვატურად მოქმედებს სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე. ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, გემის შიდა კავშირსა და ავარიულ სიგნალიზაციას - 5 ქულა - აცნობიერებს და იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს, შეუძლია განახორციელოს სამუშაო ურთიერთობები ვახტის გაწევის დროს. შეუძლია კომუნიკაცია, აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა და ადეკვატურად მოქმედებს სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე. შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო
--	---



ტექნოლოგიების, გემის შიდა კავშირისა და ავარიული სიგნალიზაციის გამოყენება - **3-4 ქულა**

- სუსტად აქვს განვითარებული გუნდური მუშაობის პრინციპი, უჭირს სამუშაო ურთიერთობების განხორციელება ვახტის გაწვევის დროს, არასაკმარისად ფლობს სტანდარტულ ინგლისურ ფრაზებს და არაადეკვატურად მოქმედებს სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე, არაეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, გემის შიდა კავშირისა და ავარიულ სიგნალიზაციას - **1-2 ქულა**

- უჭირს გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვა, სამუშაო ურთიერთობები ვახტის გაწვევისას, კომუნიკაცია და სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე ადეკვატური ქმედება, ვერ იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, გემის შიდა კავშირისა და ავარიულ სიგნალიზაციას - **0 ქულა**

შეფასების კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი დააგროვებს დადგენილ ქულათა ნახევარს.

პროფესიული სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება, თუ ორივე შუალედურ გამოცდაზე მიღებული აქვს დადებითი შეფასება.

პროფესიული სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება თუ შუალედურ გამოცდებზე მიღებული აქვს დადებითი შეფასებები.

დასკვნითი გამოცდა გულისხმობს პრაქტიკულ დავალებათა ერთობლიობას, რომლის საშუალებითაც პროფესიულმა სტუდენტმა უნდა შეძლოს შემდეგი კომპეტენციების დემონსტრირება:

N		ქულა
1	შეუძლია გემის სატაკელაჟო სამუშაოს შესრულება	0-2
2	შეუძლია სანავიგაციო ვახტის წარმოება, მიღება-ჩაბარება	0-2
3	შეუძლია სადგომი ვახტის წარმოება	0-2
4	შეუძლია ვიზუალური დაკვირვების გაწვევა ვახტაზე	0-2
5	შეუძლია საჭის მოწყობილობის მაჩვენებლის კონტროლი	0-2
6	იცის საჭისთან დგომისას შესასრულებელი ბრძანებები ინგლისურ ენაზე	0-2
7	იცავს გემის ვახტის გაწვევის წესებს	0-2
8	შეუძლია გიროკომპასის გამოყენება საჭის მართვის დროს	0-2
9	შეუძლია მაგნიტური კომპასის გამოყენება საჭის მართვის დროს	0-2
10	იცის, თუ როგორ იმოქმედოს ავტომატურიდან ხელით მართვაზე გადასვლის ბრძანების შემთხვევაში და პირიქით	0-2
11	შეუძლია გემის მიბმის ოპერაციების განხორციელება	0-2
12	შეუძლია რანჰოუსის ჩვენება	0-2
13	შეუძლია სმენითი დაკვირვების გაწვევა ვახტაზე	0-2
14	შეუძლია კურსის მაჩვენებლის კონტროლი	0-2
15	შეუძლია წყალშიგის დაფიქსირება	0-2
16	შეუძლია განგაშის სიგნალის შესაბამისად მოქმედება	0-2
17	შეუძლია განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება	0-2



18	იცის, როგორ იმოქმედოს მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში	0-2
19	შეუძლია გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოქმედება	0-2
20	იცის პიროტექნიკური საშუალებების გამოყენება	0-2
21	შეუძლია თანამგზავრული ავარიული რადიო ბუის-EPIRB გამოყენება	0-2
22	შეუძლია თანამგზავრული ავარიული რადიო ტრანსპონდერის-SART გამოყენება	0-2
23	შეუძლია საჭის მოწყობილობის, კურსის მაჩვენებლის კონტროლისა და ვიზუალური დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე პრობლემის იდენტიფიცირება	0-2
24	შეუძლია საჭის ტექნიკური ექსპლუატაცია	0-2
25	შეუძლია სატვირთო საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია	0-2
26	შეუძლია ბუქსირების ტექნიკური ექსპლუატაცია	0-2
27	შეუძლია უზრუნველყოს ნაოსნობის უსაფრთხოება	0-2
28	შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება, გემის შიდა კავშირის გამოყენება	0-2
29	შეუძლია პატაკის სწორად ჩაბარება გემი-მიზნის დანახვისას	0-2
30	შეუძლია ბრძანებების ეფექტურად და ხარისხიანად შესრულება	0-2
	0-არადამაკმაყოფილებელი 1-დამაკმაყოფილებელი 2- კარგი	60 ქულა

დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდისათვის დადგენილ ქულათა ნახევარს (ანუ 30 ქულას).

პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა წარმოებს კომისიასთან, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება „სსსც ეკვატორის“ დირექტორის ბრძანებით. საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების პედაგოგი, მოწვეული სპეციალისტი, დარგის ექსპერტი, დამსაქმებელი ან ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.



<p>სასწავლო კურსის/ პრაქტიკის კომპონენტის შინაარსი</p>	<p>პრაქტიკას წინ უძღვის პროფესიული სტუდენტის შესავალი-ინსტრუქტაჟი. პრაქტიკამდე პროფესიული სტუდენტი ეცნობა თავის უფლებებსა და მოვალეობებს. პრაქტიკის ხელმძღვანელი აწვდის შესაბამის საწყის ინფორმაციას:</p> <ul style="list-style-type: none"> - უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ; - საზღვაო გემებზე გემბანის მეზღვაურის მოვალეობებისა და ფუნქციების შესახებ. - გემებზე უსაფრთხო მუშაობის ორგანიზების შესახებ. - მისაღწევი სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ; - პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის/სამუშაო გეგმის შესახებ; - დღიურის წარმოების წესის შესახებ; - პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების შესახებ. <p>პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის ფარგლებში შესასრულებელი ყველა ამოცანის შესრულებას/საქმიანობას წინ უძღვის პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება-ინსტრუქტაჟი, რის შემდეგ პროფესიული სტუდენტები უშუალოდ ასრულებენ ინსტრუქტაჟის შესაბამის კონკრეტულ დავალებებს/ამოცანებს.</p> <p>ნაოსნობის უსაფრთხოების ძირითადი ელემენტები, გემის გაცნობიერება. სიგრძე, სიგანე, წყალშიგი. სამაშველო საშუალებების განლაგება. ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების განლაგება. რანჰოუტის ჩვენება, ტაკელაჟის ჩვენება-განლაგება. ღუზების ადგილმდებარეობა-მისი შემადგენელი მოწყობილობების ჩვენება. პრაქტიკული გამოყენება მოძრავი ტაკელაჟისა. ამწე დანადგარები. ზოგადი გაცნობა მანქანის განყოფილებაში განლაგებული მექანიზმებისა. სახანძრო ტუმბოები. ქაფის, წყლის და ნახშიროჟანგის სტაციონალური სისტემების განლაგება. სახანძრო გეგმის ადგილმდებარეობა. ტრაპი (გემზე ასასვლელი) დაყენება/მოხსნის პროცედურა. ნავმიდადგომთან გემის მისაბმელი დანადგარები: ბრაშპილი, შპილი, ჯალამბარი, კნებტები, კლიუზები. განგაშის სამაუწყებლო სიგნალიზაცია.</p> <hr/> <p>ნავიგაციური ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, სანავიგაციო ხიდურის მოწყობილობა.</p> <p>რუკები. რუკების მასშტაბი. მანძილის გაზომვა. გემის ადგილმდებარეობა. პარალელური სახაზავი, ტრანსპორტირი, საზომი. კომპასი, პელენგატორი, ლაგი, ექლოტი, რადარი, ნაპირთან დამაკავშირებელი ხელსაწყოები, EPIRB, SART, პიროტექნიკა, ზოგადი ცოდნა, გადმოცემა, ჩვენება თუ როგორ განისაზღვრება გემის კოორდინატები</p> <hr/> <p>ტივტივების დანიშნულება</p> <p>პრაქტიკული ცოდნა, ბათუმის აკვატორიაზე ჩვენება ტივტივებისა, რომლებიც უზრუნველყოფს ნაოსნობის უსაფრთხოებას. ტივტივას დამაგრება გრუნტზე. ტივტივებზე ფიგურების მნიშვნელობა. ტივტივაზე მნათობის საჭიროების შესწავლა. ტივტივების კარდინალური და ლატერალური სისტემები</p> <hr/> <p>გემის მეტეოროლოგიური ხელსაწყოები და მათი პრაქტიკული გამოყენება. ქარის მიმართულების და სიჩქარის გაგება, ხელსაწყოების პრაქტიკული გამოყენება მათი დანიშნულებისა და საჭიროების მიხედვით:</p> <p>ა)ქარის საზომი</p>
---	--



	<p>ბ)ქარის მიმართულების და სიჩქარის გაზომვა გ)ქარის სიმძლავრის გადაყვანა ბოფორტის განზომილებაში დ)ზღვის მდგომარეობის პრაქტიკული განსაზღვრა ე) ანეროიდის გამოყენება ვ) ბარომეტრის გამოყენება ზ) კსიქრომეტრის გამოყენება თ)ქარის,დინების მიმართულების გაგება</p> <hr/> <p>ორდროშიანი სიგნალები, სამედიცინო განყოფილება. ა)რა მიმდევრობით არის დალაგებული დროშები ბ)ერთდროშიანი სიგნალების მნიშვნელობა გ)ორდროშიანი სიგნალების აკრეფვა დ)საერთაშორისო ჩამონათვალი დროშების წიგნის გამოყენება ე)საუბრის ჩატარება დროშების მეშვეობით ვ)დროშები: „ლოცმანი ბორტზე“, „გთხოვთ ლოცმანს“, „ჩაშვებული გვყავს მყვინთავი“, „ვტვირთავ საშიშ ტვირთს“ და ა.შ.</p> <hr/> <p>კოლექტიური სამაშველო საშუალებები, მოწყობილობა, დანიშნულება და წყალში ჩაშვების თანმიმდევრობა. ა)სამაშველო ნავში და ტივში ჩაჯდომა ბ)სამაშველო ნავის და ტივის მარაგის ცოდნა და ჩვენება გ)სამაშველო ნავის აშწე/ჩასაშვები დანადგარი, აღჭურვილობა დ)ტივების მოქმედებაში მოყვანა</p> <hr/> <p>გემის ტაკელაჟი, დანიშნულება და სწორად გამოყენება; სავალდებულო საზღვაო კვანძების გამოყენება. კვანძები (სკამური, მარყუჟი ბრტყელი ნასკვით, სწორი, მეთევზეთა ხიშტი, რიფის, მარყუჟი სწორი ნასკვით, ყალმუხური, გვარლის დასამოკლებელი, ორმაგი სწორი, კასრის შესაკრავი, საანძო, ბოცმანის, მარტივი ხიშტი, მოძრავი ხიშტი, მარყუჟი, მახრჩობელა, ბრამშტოკის და სხვა). მათი დანიშნულება და უპირატესობები სხვა ჩვეულებრივ კვანძებთან შედარებით. საზღვაო კვანძების შესრულება. სინთეტიკური გვარლების შეერთება ერთმანეთთან; მისაბმელი ოპერაციების დროს პრაქტიკული მუშაობა სასროლი თოკის გადაცემა ნაპირზე ან სხვა გემებზე. მისაბმელი გვარლების გადაცემა და მათი დამაგრება სანაპირო კნეხტებზე. ერთდროულად რამდენიმე მარყუჟის დამაგრება ერთ და იმავე კნეხტზე. მისაბმელი გვარლების დაჭიმვა და დამაგრება გემის კნეხტებზე, მოძრაობის შემზუდველები. მუსინგების, კნოპების და ყულფების კეთება გვარლებზე.</p> <hr/> <p>ბრძოლა გემის სიცოცხლისუნარიანობისათვის. ა)“სახანძრო განგაში“, სიგნალი, შეკრების ადგილი, მოქმედება ბ)განგაშის ცხრილი- MUSTER LIST გ)შეკრების ადგილი - MUSTER STATION დ)გემის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები (სტაციონარული და მობილური) ე)“გემის დატბორვა“, სიგნალი, მოქმედება ვ)პლასტიკის გამოყენება, პლასტიკის შემადგენლობა ზ)კომუნიკაცია თ)“ ადამიანი ბორტს მიღმა-MAN OVERBOARD“ ი) სიგნალი, ეკიპაჟის ქმედება, სამედიცინო დახმარება, გემის განგაშის განრიგი.</p> <p>შუალედური გამოცდა/პრაქტიკული უნარების დემონსტრირება (2 სთ)</p>
--	---



	<p>COLREG – 72 -ის წესები № 3, 5, 6, 7, 10, 20, 23, 26, 35 გემის სვლის საბორტო შუქნიშნების განლაგება. ა)წესი - 1 ბ)წესი - 3 გ)წესი - 5 დ)წესი - 6 ე) წესი - 7 ვ) წესი - 10 ზ) წესი - 20 თ) წესი - 23 ი) წესი - 26 კ) წესი - 35</p> <hr/> <p>გემის მოწყობილობათა ექსპლუატაციის წესები, გემის საჭის მართვა. გემის საჭის მართვა პირდაპირი კურსით და მანევრირება ცურვის სხვადასხვა პირობებში. საჭის ავტომატური მართვიდან გადასვლა ხელით მართვაზე და პირიქით. მოქმედება საჭის მუშა მდგომარეობიდან გამოსვლის შემთხვევაში. გემის მართვა და ბრძანებების შესრულება საჭესთან დგომისას. საჭის ბრძანებების შესრულება (მათ შორის ინგლისურ ენაზე). ვახტის გაწვევის ორგანიზაცია. ვახტა საჭეზე. მოვალეობები გემის სვლის და დგომის დროს. ვახტის მიღება/ჩაბარება ვიზუალური და სმენითი დაკვირვება. ქმედება COLREG-ის შესაბამისად.</p> <hr/> <p>გემზე სატვირთო სამუშაოების შესრულება. ტრიუმების მომზადება ტვირთების ჩატვირთვა ტრიუმებში და განთავსება. ტვირთების მდგომარეობის კონტროლი. ტრიუმში ტემპერატურის გაზომვა და კონტროლი. ტრიუმის დალაგება. გემის გემბანზე ტვირთების გადაზიდვა. გემბანის მომზადება ტვირთის გასაცემად. გემბანზე ტვირთების გადაზიდვა და კონტროლი.</p> <p style="text-align: center;">შუალედური გამოცდა/პრაქტიკული უნარების დემონსტრირება (2 სთ)</p> <hr/> <p>მუშაობა მისაბმელ მექანიზმებთან (შპილი, ბრამპილი, მისაბმელი). ბრძანებები და მოხსენებები მისაბმელი ოპერაციების შესრულების დროს. ა)შესწავლა რა არის, დანიშნულება და მასთან მუშაობა: ბრამპილი, შპილი კნეხტი, კლიუზი, ბაგირის სტოპერი, ნაპირთან დაკავშირების (ვიბრასკა)თოკი ბ) ბაგირებთან, გემის მიბმის ოპერაციების დროს ბრძანებები გემის ღუზაზე დაყენება და ღუზიდან მოხსნა. უსაფრთხოების წესები ღუზის მოწყობილობასთან მუშაობის დროს. ბრძანებები ღუზის ოპერაციების დროს. რა ტიპის ღუზები გააჩნია. ჯაჟვის სიგრძე. ღუზის ჯაჟვის მარკირება. ლოტის მარკირება და მისი დანიშნულება.</p> <hr/> <p>გემის პიროტექნიკური საშუალებები, უბედურების სიგნალები. თანამგზავრული ავარიული რადიო ბუის EPIRB-ისდა ტრანსპორდერის SART-ისდანიშნულება და გამოყენება. გემის ნახაზის შესრულება - ღუზების, გემისაბმელი მოწყობილობების: კნეხტები, ბრამპილი, შპილი, კლუზები აღნიშვნა.</p> <p>დასკვნითი გამოცდა (6 სთ)</p>
--	---



შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“	
პრაქტიკის დღიური	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	_____
პრაქტიკის ხელმძღვანელი	_____
პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი	_____
პრაქტიკის პერიოდი	_____



პრაქტიკის მიზნები და შინაარსი

პრაქტიკის მიზანი		
პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შინაარსი		
თარიღი	შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი	მიღწეული შედეგი

პრაქტიკის ხელმძღვანელი -----

პრაქტიკის ინსტრუქტორი -----



პრაქტიკის დღიურის წარმოების ინსტრუქცია

დღიური პროფესიული სტუდენტისათვის წარმოადგენს პრაქტიკის განმავლობაში მის მიერ შესრულებული საქმიანობის შესახებ აუცილებელ მასალას. მასში აისახება პრაქტიკის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა და ამ პროცესში შექმნილი ცოდნა და კომპეტენცია. პასუხი უნდა გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდით, პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინეთ და/ან განივითარეთ პრაქტიკის პროცესში? პროფესიულმა სტუდენტმა შეიძლება გადმოსცეს ის სიახლეები, რომელსაც გაეცნო საწარმოო პრაქტიკის პროცესში.

დღიურის შევსება წარმოებს რეგულარულად და სუფთად.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პერიოდულად წარუდგინოს დღიური პრაქტიკის ხელმძღვანელს/ინსტრუქტორს.

დღიურში ჩანაწერები შესრულებული უნდა იყოს ხელით.

პრაქტიკის დამთავრებისას პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წარუდგინოს დღიური ხელმძღვანელს/ინსტრუქტორს.



შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“



პრაქტიკის შესავალი ინსტრუქტუის გაცნობისა და შეთანხმების ფურცელი

ქ. ბათუმი

„----“ „-----“ 20 ---- წ.

მე, -----,
(პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი)

(პროგრამის დასახელება)

პროგრამის სტუდენტი, ამ დოკუმენტზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:

1. გავეცანი პრაქტიკის პროგრამას და ვიცი ჩემი მოვალეობები პრაქტიკის განმავლობაში;
2. განმემარტა შრომის უსაფრთხოების წესები;
3. განმემარტა ეთიკის ნორმები და ქცევის წესები;
4. განმემარტა კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობის შესახებ;
5. განმემარტა ჩემი უფლებები, ვალდებულებები და სრულიად მაქვს გაცნობიერებული ის სამართლებრივი პასუხისმგებლობა რაც შეიძლება დამეკისროს ჩემს მიერ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული არამართლზომიერი ქმედების ან ობიექტისათვის მიყენებული ზიანის გამო.

ხელმოწერა -----



პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმებლის გვარი, სახელი, თანამდებობა	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები



დოკუმენტში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა



შეთანხმების ფურცელი

შესათანხმებელი დოკუმენტის დასახელება

საწარმოო და საცურაო პრაქტიკა გემზე

კოდი: ნდ №2-P. 0326-08
სილაბუსი

დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ქვეგანყოფილება—ხარისხის სისტემის სამსახური

დოკუმენტის შემსრულებელი შორეული ნაოსნობის კაპიტანი ა. მგელაძე

შეთანხმება

№	შეთანხმებლის თანამდებობა, სახელი და გვარი	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების ვადა	შენიშვნა
1	პროფესიული განათლების განყოფილების უფროსი				
2	ხარისხის სისტემის მენეჯერი				
3					
4					

დოკუმენტი შესათანხმებლად დააგზავნა

(ხელმოწერა, სახელი, გვარი)

თარიღი